საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში
კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების
თაობაზე

ადამიანის უფლებების მდგომარეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის გამყოფი ხაზის სოფლებში

2016

www.ombudsman.ge

შესავალი

2013 წელს საქართველოს მთავრობამ კონფლიქტით დაზარალებულად ცნო ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე შიდა ქართლის და სამეგრელოს დაახლოებით 50 სოფელი. 2013-2015 წლებში ამ სოფლებში არაერთი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტი განხორციელდა, რომელიც მოიცავდა ინტენსიურ გაზიფიცირებას, სარწყავი წლის სისტემის რეაბილიტაციას, ამბულატორიების, საბავშვო ბაღების მშენებლობას, სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ მოწყობას, უმაღლესი განათლების სრულ დაფინანსებას და აშ. მიუხედავად ამისა, კონფლიქტით დაზარალებული სოფლების სოციალურ-ეკონომიკური და უსაფრთხოების მდგომარეობა კვლავ მძიმეა, რაზეც სახალხო დამცველი თავის 2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებშიც ამახვილებდა ყურადღებას.

წინამდებარე ანგარიში არის სახალხო დამცველის კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების თაობაზე სპეციალურ ანგარიშთა ციკლის გაგრძელება[1] და მიმოიხილავს სამეგრელოსა და აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მდგომარეობასა და უსაფრთხოების საკითხებს. კვლევის ფარგლებში განხორციელდა გასვლითი ვიზიტები სამეგრელო-ზემო სვანეთის საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ თემებში, რომლის ფარგლებშიც სახალხო დამცველმა და მისმა წარმომადგენლებმა არსებული პრობლემები უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობისგან მოისმინეს. შეხვედრები გაიმართა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც. ინფორმაციის მოპოვების გარდა, სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ინდივიდუალური საქმეებიც და მოახდინა მათზე რეაგირება; მოქალაქეებს ასევე გაეწიათ სამართლებრივი კონსულტაციები.

კვლევაში წარმოდგენილი ფაქტები მიუთითებს, რომ კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებში რეგულარულად ირღვევა ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფლების, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის და თავისუფალი მიმოსვლის უფლებები. ასევე, პრობლემურია ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრებლისა და საკუთრების უფლებების რეალიზებაც.

2009 წლიდან, აფხაზეთის გამყოფ ხაზს მთლიანად რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (ФСБ) საზღვრის დაცვის სამსახურის მესაზღვრეები აკონტროლებენ. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაცია ახორციელებს აფხაზეთის საოკუპაციო ხაზის ეფექტურ კონტროლს, რაც ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების დარღვევებზე მის პასუხისმგებლობას წარმოშობს. თავის მხრივ,

---

[1] „კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“ 2015;
„ზარდიაანთკარი: ომის შედეგები და არსებობის სიმძიმე“ 2015; „განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები“ 2015; „კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“ 2016.

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები, რათა დაიცვას მოსახლეობის უფლებები, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და პირადი უსაფრთხოება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ხურჩა

ზუგდიდიდან 16 კმ-ის მოშორებით მდებარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელი ხურჩა უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიას, კერძოდ, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევს. სოფელ ხურჩაში 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით 535 ადამიანი ცხოვრობს. მათგან 62-ს (17 ოჯახი) დევნილის სტატუსი აქვს.[2]

აფხაზეთში 1992-1993 წლების საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, აფხაზი სამხედროები სოფელს 9 თვის განმავლობაში აკონტროლებდნენ. 1994 წელს, სოჭის ხელშეკრულების თანახმად, აქ დსთ-ს სამშვიდობო ძალების ბლოკპოსტები განლაგდა. 1998 წელს გალის რაიონში განახლებული კონფლიქტი ასევე შეეხო სოფელ ხურჩას, რა დროსაც გალიდან დევნილთა დიდმა ნაწილმა სწორედ ხურჩის გავლით დატოვა აფხაზეთი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს კი რუსმა და აფხაზმა სამხედროებმა სოფელი რამდენიმე თვით კვლავ დაიკავეს.

2008 წლის 12 აგვისტოს 6 პუნქტიანი გეგმის (ე.წ. სარკოზი-მედვედევის შეთანხმება) თანახმად, რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნებოდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზს. მიუხედავად ამისა, რუსეთმა 2009 წლიდან აფხაზეთის გამყოფ ხაზზე „ფე-ეს-ბეს“ მესაზღვრეები განალაგა, რის შემდეგაც გამყოფ ხაზზე გადაადგილება განსაკუთრებით გამკაცრდა. ადგილობრივთა გადაადგილების აღსაკვეთად, რუსმა მესაზღვრეებმა მდინარე ხურჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკაფეს ტყე, გააკეთეს 2-3 მეტრის სიღრმის თხრილები, გაავლეს მავთულხლართები, რომელიც დღეისათვის 8 კმ-ია და გააძლიერეს პატრულირება. გარდა ამისა, სოფელ ნაბაკევში განლაგდა რუსული სასაზღვრო ჯარის ბაზა და აშენდა საცხოვრებელი კორპუსი სამხედრო პერსონალისათვის.

რუსი მესაზღვრეები ყოველთვის ოპერატიულად რეაგირებენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებზე. არჩევნების, საერთაშორისო დელეგაციების ვიზიტისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარების დროს, ისინი ზრდიან პატრულირებას და დამატებით ამაგრებენ გამყოფ ხაზს. მოსახლეობის თქმით, რუსი მესაზღვრეები ასევე ხშირად გადმოდიან ხურჩა-ნაბაკევის ხიდის შუა ნაწილამდე და აკვირდებიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას.

დღეისათვის, ხურჩა საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებადი ერთადერთი სოფელია, რომელიც ენგურის გაღმა მდებარეობს. ეს გარემოება მნიშვნელოვან უსაფრთხოების პრობლემებს უქმნის მოსახლეობას. კონკრეტულად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბლოკპოსტი განთავსებულია სოფლის დასაწყისში, ხოლო

[2] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 3 ივნისის 02/2458 წერილი.

სოფლის ბოლოში მდებარეობს რუსულ-აფხაზური ე.წ. გამშვები პუნქტი (შემდგომში ხურჩა-ნაბაკევის გამშვები პუნქტი), რომელიც 2013 წლიდან ფუნქციონირებს. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა რუს და აფხაზ სამხედროებთან პირისპირ მარტო არის დარჩენილი. მართალია, საპატრულო პოლიცია სოფელში რეგულარულად პატრულირებს, თუმცა, ადგილობრივების უსაფრთხოების დასაცავად ეს საკმარისი არ არის.

ამის ნათელი მაგალითი, 2016 წლის 19 მაისს, ახალგაზრდა მამაკაცის გ.ო.-ს მკვლელობის ფაქტია, რომელმაც კიდევ ერთხელ ცხადყო მოსახლეობის დაუცველობა. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, გ.ო. ხურჩა-ნაბაკევის გამშვებ პუნქტზე პროდუქტის გადატანას ცდილობდა, რა დროსაც აფხაზ ე.წ. მესაზღვრესთან შელაპარაკება მოუვიდა. შეიარაღებული მესაზღვრე უკან მობრუნებულ გ.ო.-ს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაეწია და მისი მისამართით რამდენჯერმე გაისროლა, რის შედეგადაც გ.ო. გარდაიცვალა. შემთხვევიდან მალევე გავრცელდა მკვლელობის ამსახველი ვიდეო კადრები, რომლებიც სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა.

საქმეზე გამოძიება დაიწყო როგორც ქართულმა, ისე აფხაზურმა მხარემ. ქართული მხარე საქმეს იძიებს განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვისა და ტარების მუხლით.[3] აფხაზური მხარის განცხადებით, საქმეს სამხედრო პროკურატურა იძიებს და სამხედრო სასამართლომ პირს ბრალი უკვე წაუყენა, აღკვეთის ღონისძიებად კი შინაპატიმრობა შეუფარდა.[4]

ამ ინციდენტის შემდეგ დაჩქარებულად ჩაინიშნა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის პირველი შეხვედრა, რომლის აღდგენაზეც მხარეები, 2016 წლის მარტში ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ. 27 მაისის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრაზე ქართულმა მხარემ დააყენა გ.ო.-ს მკვლელობაში ბრალდებულის დაუყოვნებლივ დაკავების და ქართული მხარისათვის გადმოცემის საკითხი, ხოლო აფხაზეთის დე ფაქტო სამხედრო პროკურატურამ მოითხოვა საქმეში არსებული მტკიცებულებების მათთვის მიწოდება.[5]

6 ივლისს გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრის ფარგლებში ქართულმა მხარემ აფხაზურ მხარეს გადასცა გამოძიების მასალები, მათ შორის ბალისტიკური ექსპერტიზის და დნმ-ის ანალიზის მონაცემები.

---

[3] პროკურატურამ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, 21.05.2016, საქართველოს პროკურატურა http://pog.gov.ge/geo/news?info_id=932 [13.09.2016].

[4] Подозреваемого в убийстве гражданина Грузии абхазского пограничника взяли под домашний арест, 23.06.2016, Эхо Кавказа, http://www.ekhokavkaza.com/a/27815616.html [13.09.2016].

[5] სოხუმის თქმით, ხურჩაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით აფხაზი მესაზღვრის წინააღმდეგ საქმე აღიძრა, 21.05.2016, სივილ ჯორჯია, http://civil.ge/geo/article.php?id=30322 [13.09.2016].

აფხაზურ მხარეს ასევე გადაეცა სათვალთვალო კამერის მიერ დაფიქსირებული მკვლელობის ამსახველი ვიდეო კადრები.[6]

აფხაზური მხარე არ არის თანახმა ბრალდებული ქართულ მხარეს გადმოსცეს.[7] თუმცა, 9 სექტემბერს გალში გამართულ მორიგ შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ განაცხადა, რომ შემდეგ შეხვედრას დაესწრება აფხაზეთის დე ფაქტო სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელი, რომელიც დეტალურად გააცნობს მხარეებს საქმის გამოძიების მიმდინარეობას.[8]

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საქმე მხარეთა თანამშრომლობით სწრაფად და ეფექტურად იქნას გამოძიებული და დამნაშავე პასუხისგებაში მიცემული, რაც გააძლიერებს ადგილობრივების უსაფრთხოების განცდას და მხარეთა თანამშრომლობის მნიშვნელოვან პრეცედენტს შექმნის.

ეს შემთხვევა სიცოცხლის უფლების უხეშ დარღვევას წარმოადგენს, რაზეც საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, როგორც რეალური კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს.

აღსანიშნავია, რომ ხიდს, სადაც მკვლელობა მოხდა, ყოველდღიურად გადაკვეთენ მოქალაქეები, მათ შორის სკოლის მოსწავლეები. ისინი ამით რისკის ქვეშ აყენებენ თავიანთ სიცოცხლეს განათლების, ჯანდაცვის თუ სხვა საბაზისო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მისასალმებელია, რომ მკვლელობის შემდეგ, საქართველოს საპატრულო პოლიციამ სოფელში პატრულირება გააძლიერა.[9] მნიშვნელოვანია, რეგულარული პატრულირება სწორედ გამყოფი ხაზის სიახლოვეს, სადაც მოსახლეობა ხაზს გადაკვეთს.

2015-2016 სასწავლო წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩიდან გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში 5 მოსწავლე გადაადგილდებოდა,[10] მაშინ როდესაც 2011 წლამდე ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 40-მდე იყო.[11] 2015 წლის განმავლობაში ხურჩაში დაფიქსირდა არასრულწლოვანთა დაკავების ფაქტები. ერთ შემთხვევაში, რუსმა მესაზღვრეებმა რამდენიმე საათით დააკავეს მე-10 და მე-11 კლასელი მოსწავლეები

---

[6] Грузия предоставила материалы по делу об убийстве Отхозория, 6.07.2016, Эхо Кавказа, http://www.ekhokavkaza.com/a/27842029.html [13.09.2016].

[7] По заявлению Рауля Хаджимба, грузинской стороне не выдадут пограничника, подозреваемого в убийстве Гиги Отхозория, 6.07.2016, Эхо Кавказа, http://www.ekhokavkaza.com/a/27841947.html [13.09.2016].

[8] Встреча в Гали: переговоры продолжаются, 9.09.2016, Эхо Кавказа, http://www.ekhokavkaza.com/a/27977931.html [13.09.2016].

[9] ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია. სექტემბერ 2016.

[10] ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსწავლეთა გადაადგილება სოფელ ნაბაკევის სკოლის სიახლოვით არის განპირობებული. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები და მათი მშობლები ამჯობინებენ სკოლა დაამთავრონ იქ სადაც უკვე წლებია სწავლობენ,

[11] 2014 წელს აქ 7, 2013 წელს 13, ხოლო 2012 წელს 22 მოსწავლე გადაადგილდებოდა.

(გოგონები) და დააშინეს ისინი, რის შემდეგაც მათ გარკვეული დროით სწავლა მიატოვეს.[12]

მოსწავლეების გარდა, ხშირი იყო ხურჩის მაცხოვრებელთა დაკავების ფაქტებიც. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ფაქტი 2014 წელს მოხდა, როდესაც სამი ადგილობრივი მცხოვრები თევზაობის დროს დააკავეს რუსმა მესაზღვრეებმა. ადგილობრივების მტკიცებით, დაკავებულებს საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორია არ დაუტოვებიათ.[13] სამივე მათგანი 500 ლარიანი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა იმის გამო, რომ დაკავებულების ოჯახმა თანხის გადახდა დროულად ვერ შეძლო, მათ რამდენიმე დღე გალის იზოლატორში გაატარეს.

2009-2016 წლებში რუსმა მესაზღვრეებმა ხურჩის 22 მკვიდრი დააკავეს. ასევე ხშირია გალის რაიონის იმ მკვიდრთა დაკავებები, რომლებიც სოფელ ხურჩის შემოვლითი გზებით ცდილობენ გადაადგილებას გამყოფ ხაზზე. მაგალითად, 2016 წლის აპრილში, სოფელ ხურჩასთან გალის 8 მკვიდრი იყო დაკავებული.[14]

მთლიანად, აფხაზეთის გამყოფ ხაზზე დაკავების სტატისტიკა ძირითადად გალის მაცხოვრებლების ხარჯზე მოდის, რომელთაც შესაბამისი დოკუმენტები (ე.წ. აფხაზური პასპორტი ან ფორმა N9[15] არ აქვთ) და შემდეგია:



წელი	დაკავებულია რაოდენობა
2009	107 პირი
2010	120 პირი
2011	102 პირი
2012	190 პირი
2013	411 პირი
2014	370 პირი
2015	341 პირი

[12] სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ხურჩა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელი წყოუში, ოქტომბერი 2015.

[13] სახალხო დამცველის შეხვედრა ხურჩის მოსახლეობასთან, აპრილი 2014.

[14] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის 14 სექტემბერის წერილი N 11956/16

[15] ფორმა N9 არის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ გაცემული დროებითი მოწმობა, რომელიც ადასტურებს პირის მუდმივ ცხოვრებას აფხაზეთის ტერიტორიაზე და რომლითაც, მის მფლობელს გამშვები პუნქტებით აფხაზეთის გამყოფი ხაზის გადაკვეთის საშუალება ეძლევა. 2016 წელს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ განაახლა ფორმა N9-ის გაცემა, რაც 2014 წლიდან შეწყვეტილი იყო.

2016 წლის 1 იანვრიდან 5 სექტემბრის ჩათვლით ამ მიმართულებით 177 პირი იყო დაკავებული.[16]

დაკავებულებს დროებით რუსულ სამხედრო ბაზაში ათავსებენ,[17] შემდეგ გალის უშიშროების სამსახურში გადაყავთ, სადაც მათ „სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის“ ბრალდებით ასამართლებენ. გალის რაიონის მოსახლეობაზე ვრცელდება ადმინისტრაციული დაჯარიმების პრაქტიკა, დაახლოებით 50-100 ლარის ფარგლებში. ხოლო საქართველოს სხვა მოქალაქეების დაკავების შემთხვევაში ჯარიმა 500-5 000 ლარს შეადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გალის მკვიდრნი, რომელთაც აქვთ შესაბამისი დოკუმენტები (ე.წ. აფხაზური პასპორტი ან ფორმა N9) ხურჩა-ნაბაკევის გამშვებ პუნქტზე უპრობლემოდ გადაადგილდებიან.[18]

უსაფრთხოების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ სოფელ ხურჩის მოსახლეობა ხშირად არის რუსი მესაზღვრეების მხრიდან სპეციალური აპარატებით თვალთვალის ობიექტი. 2014 წლის აპრილში, როდესაც სახალხო დამცველი სოფლის მოსახლეობას ხვდებოდა, ხურჩას საფრენმა აპარატმა გადაუფრინა, რომელიც როგორც მოგვიანებით გაირკვა რუსული “ან 2“ ტიპის თვითმფრინავი იყო.[19]

რაც შეეხება სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, კონფლიქტებმა მას მძიმე დაღი დაასვა და სიტუაცია დღემდე არასახარბიელოა. როგორც აღინიშნა, სოფელი ხურჩა 1992-93, 1998 და 2008 წლების ომისა და დაპირისპირების დროს გაიძარცვა; დაიწვა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, განადგურდა მოსავალი და დაიკარგა საქონელი, რამაც ადგილობრივები ძალიან დააზარალა. მათი ძირითადი შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობა, კონკრეტულად კი თხილის მოსავალია. უმუშევრობა, როგორც მთლიანად ქვეყანაში, აქაც მთავარი პრობლემაა.

---

[16] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის 14 სექტემბერის წერილი N 11956/16.

[17] დაკავების პირობებსა და მოპყრობაზე მეტი ინფორმაცია იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, „კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, გვ.35-36 http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3764.pdf

[18] გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთში თხილის ფასი ყოველთვის ნაკლებია ვიდრე დანარჩენ საქართველოში, გამყოფ ხაზზე მოქალაქეთა გადაადგილება განსაკუთრებით თხილის სეზონის დროს მატულობს. საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან კი აფხაზეთში შედის ხილი, ბოსტნეული, საყოფაცხოვრებო ნივთები, ავეჯი, და აშ., რომელიც გასამმაგებულ ფასად რეალიზდება.

[19] “შსს სოფელ ხურჩის თავზე რუსული თვითმფრინავის გამოჩენას ადასტურებს”, ტაბულა, 10.04.2014 http://www.tabula.ge/ge/story/82093-shss-sofel-xurchis-tavze-rusuli-tvitmfrinavis-gamochenas-adasturebs.

სოფელი ხურჩა, გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორია. სახალხო დამცველის აპარატი 2014 წ.

ბოლო სამი წლის განმავლობაში სოფელ ხურჩის მოსახლეობისთვის გარკვეულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა. 2015 წელს დასრულდა სოფლის ბუნებრივი აირით მომარაგება. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლამდე მისასვლელ 4 კმ-იან მონაკვეთს. 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში სოფელში სასწრაფო დახმარების მანქანა უსაფრთხოების მოტივით არ შედიოდა. ამჟამად ეს პრობლემა აღმოფხვრილია, თუმცა, მოსახლეობა მაინც უჩივის სასწრაფო დახმარების მანქანების დაგვიანებას. სოფელს ორი ექიმი ემსახურება, მაგრამ, არ აქვს შესაბამისად აღჭურვილი ამბულატორია.

ამასთან, წლებია მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ითხოვს ლიბერთი ბანკის მობილური ჯგუფის სოფელში შესვლას. დღეისათვის ადგილობრივებს, მათ შორის ხანდაზმულებს, 4 კმ-ში მდებარე სოფელ კოკში უწევთ ჩასვლა სოციალური დახმარებისა თუ პენსიის მისაღებად.

სოფელში 2015 წლიდან ფუნქციონირებს საბავშვო ბაღიც, რომელიც იაპონიის საელჩოსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთობლივი ძალისხმევით გარემონტდა. აღსაზრდელთა რაოდენობა 29-ს შეადგენს და მათ შორის არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებიც.

რაც შეეხება საშუალო განათლებას, მოსახლეობის სიმცირის გამო სოფელში სკოლა არასდროს ყოფილა, ხოლო ტერიტორიული სიახლოვის გამო, ხურჩაში მცხოვრები მოსწავლეები წლების განმავლობაში გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის სკოლაში დადიოდნენ. თუმცა, გამყოფ ხაზზე რუსი მესაზღვრეების განლაგების შემდეგ, მათი გადაადგილება სულ უფრო და უფრო პრობლემური გახდა. შესაბამისად, უსაფრთხოების დაცვის მიზნით მშობლებმა ბავშვები სოფელ კოკის სკოლაში გადაიყვანეს.

თავდაპირველად მშობლებს საკუთარი სახსრებით უწევდათ მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება, თუმცა 2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხურჩაში მცხოვრები მოსწავლეებისათვის სკოლის ავტობუსი გამოყო.

მიუხედავად ამისა, ხურჩის მოსახლეობა სოფელში დაწყებითი სკოლის გახსნას მაინც ითხოვს, იმ მოტივით, რომ უმცროს და უფროს კლასელთა განრიგი განსხვავებულია და უმცროს კლასელებს სკოლაში ლოდინი უწევთ სკოლის ავტობუსისათვის. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, არასაკმარისი კონტიგენტის გამო (7-8 მოსწავლე) დაწყებითი სკოლის აშენება მიზანშეწონილი არ არის. ხურჩელი უმცროს კლასელებისათვის დამატებითი ტრანსპორტი პრობლემას აღმოფხვრიდა.

ადგილობრივების განცხადებით, მათ ყოფას ამძიმებს ის ფაქტიც, რომ მათ 1993-1998 და 2008 წლებში საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის (საცხოვრებელი სახლის ან/და სხვა ქონების დაზიანებით) ანაზღაურება სრულყოფილად არ მიუღიათ. ამის თაობაზე მოქალაქეებმა განცხადებით მიმართეს სახალხო დამცველის აპარატს. მოქალაქეები მიუთითებენ, რომ სოფელში 100 ოჯახია დაზარალებული, თუმცა, გამგეობის მიერ მომზადებულ სოფელ ხურჩის დაზარალებულ პირთა სიაში მხოლოდ 57 ოჯახი მოხვდა და მათგანაც მხოლოდ 44 ოჯახზე გაიცა 185 482 ლარის კომპენსაცია რაც არ წარმოადგენს ზარალის სრულ ანაზღაურებას. დარჩენილი 43 ოჯახი საერთოდ ვერ მოხვდა ზემოხსენებულ სიაში მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნიათ ექსპერტიზის მიერ გაცემული საომარი მოქმედებების შედეგად ზიანის მიყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნულ ოჯახებს, გამგეობის სიაში შეყვანილი პირებისაგან განსხვავებით, საერთოდ არ მიუღიათ საკომპენსაციო თანხები.

საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის გაცემული საკომპენსაციო თანხების თაობაზე შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვების მიზნით სახალხო დამცველის აპარატმა არაერთ სახელმწიფო უწყებას მიმართა. თუმცა, მტკიცებულებები არასრულად იქნა მოწოდებული, რაც არ იძლევა საქმის სრულყოფილად შესწავლის შესაძლებლობას. მოსახლეობა უფლებების დაცვას სასამართლოს გზით გეგმავს.

ხურჩა პატარა და მცირემიწიანი სოფელია. სოფლის სახნავ-სათესი მიწების და საძოვრების გარკვეული ნაწილი დღეს ოკუპირებულ ნაწილშია დარჩენილი, ნაწილი კი უშუალოდ გამყოფ ხაზს ესაზღვრება, რის გამოც მოსახლეობა ვერ ახერხებს მის დამუშავებას დაკავებების გამო. ეს ამძიმებს სოფელში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონს.

სახალხო დამცველთან შეხვედრისას, მოსახლეობამ ასევე დააყენა ელექტროენერგიის მიწოდებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმართაობის საკითხი. კონკრეტულად, ელექტროენერგიის სადენები მოძველებულია, ბოძები კი ამორტიზირებული და ხშირ შემთხვევაში უსაფრთხო არ არის მოსახლეობისათვის. თუმცა, პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ სოფელი ელექტროენერგიით აფხაზეთის არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან მარაგდება და რადგანაც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი კომპანია არ ახდენს სოფლის ელექტროენერგიით უზრუნველყოფას, არც სარემონტო სამუშაოებზეა პასუხისმგებელი.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, სახალხო დამცველმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების

დროებითი სამთავრობო კომისიის თანა-თავმჯდომარეებს წინადადებით მიმართა. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად, მიმდინარეობს პრობლემის დამატებით მოკვლევა.[20]

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელი ფახულანი და წყოუში

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში 1770 ადამიანი ცხოვრობს, ხოლო სოფელ წყოუშში - 430. ორივე სოფელში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 2651 პირია დარეგისტრირებული.[21] ეს სოფლები უშუალოდ გამყოფ ხაზზე მდებარეობს და მათ აფხაზეთის მხრიდან გალის რაიონის სოფელი საბერიო ესაზღვრება. საბერიო კი სტრატეგიული მნიშვნელობისაა, გამომდინარე იქიდან, რომ ენგურჰესის გენერატორები სწორედ იქ მდებარეობს. იქვეა განლაგებული რუსული სამხედრო ბაზაც.

2013 წელს რუსმა მესაზღვრეებმა სოფელში მავთულხლართები გააბეს,[22] რის შედეგადაც სოფელ წყოუშში მდებარე რამდენიმე სახლი მავთულხლართების მიღმა, არაკონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩა. მავთულხლართები გავლებულია მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში, რაც უზღუდავს მათ მიწით სარგებლობის საშუალებას და იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებას.

ადგილობრივი მკვიდრის ბაღი სოფელ წყოუშში. სახალხო დამცველის აპარატი, 2014 წ.

[20]საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 9 სექტემბრის წერილი N 11737/16.
[21] რეგისტრაცია არ ნიშნავს მუდმივ საცხოვრებელს. საქართველოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 მაისის N558 წერილი.
[22] მავთულხლართების საერთო სიგრძე სოფელ ფახულანსა და წყოუშში 14 კმ-ია.

2009-2016 წელს ამ სოფლების 9 მკვიდრი იყო დაკავებული.[23] თუმცა, მოცემულ ტერიტორიაზე ხშირია გალის მკვიდრთა დაკავების შემთხვევები, რომლებიც, სათანადო დოკუმენტების არქონის გამო შემოვლითი გზით ცდილობენ გადმოსვლას.

წყოუშის მოსახლეობის განმარტებით, რუსი სამხედროების მიერ მოსახლეობის დაკავებებს იშვიათად, გაფრთხილების მიზნით, სროლებიც ახლავს თან. სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ ღამღამობით რუსი მესაზღვრეები მოსახლეობის ბაღებსა და ეზოებშიც გადმოდიან. ამის გამო, მოსახლეობა წყოუშში შინაგან საქმეთა სამინისტროს (პოლიციის) საგუშაგოს განთავსებას ითხოვს. სოფელში პოლიციის საგუშაგოს განთავსების წინადადებით, სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა, თუმცა სამინისტრომ ეს მიზანშეწონილად არ ჩათვალა.[24] აღსანიშნავია რომ, ხურჩის მსგავსად, პოლიციის პოსტი აქაც სოფლის შესასვლელშია განთავსებული, თუმცა, საპატრულო ეკიპაჟი რეგულარულად პატრულირებს როგორც ფახულანში, ისე წყოუშში.

მოქალაქე ი.ბ.–ს საქმე

ი.ბ. და მისი ოჯახის 4 წევრი, რომელთაგანაც ორი არასრულწლოვანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყოუშში ცხოვრობდნენ. 2013 წლის გაზაფხულზე, რუსმა მესაზღვრეებმა მათ სახლსა და სოფელს შორის მავთულხლართები გააბეს, რითაც ოჯახი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას მოწყვიტეს. ამის შედეგად ოჯახს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე შემოსვლის შესაძლებლობა შეეზღუდა. ბავშვები ვეღარ ახერხებდნენ სკოლაში სიარულს. იმის გამო, რომ ბავშვებს სწავლაში ხელი არ შეშლოდათ, მშობლებმა ისინი სოფელში დარჩენილ ნათესავებს მიაბარეს, თვითონ კი მალულად ცდილობდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრას, რის გამოც რუსმა მესაზღვრეებმა ისინი არაერთხელ დააკავეს და დააჯარიმეს.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რათა ოჯახის საკითხი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფარგლებში აფხაზურ და რუსულ მხარესთან დაესვათ. სახალხო დამცველის აპარატმა პრობლემის თაობაზე ასევე აცნობა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანა-თავმჯდომარეებს. გარდა ამისა, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სამართლებრივი კონსულტაცია გაუწიეს ოჯახს იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მისაღებად საჭირო პროცედურების თაობაზე.

---

[23] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის 14 სექტემბერის წერილი N 11956/16.

[24] სახალხო დამცველის წინადადება კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური უფლებების რეალიზაციისთვის ეფექტური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ. 2015 წლის 17 ივლისი.

სამწუხაროდ, ოჯახის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ისინი მეზობელ სოფელში ნათესავის სახლს აფარებენ თავს.

მოქალაქე ბ.წ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა სამხედრო მოსამსახურე ბ.წ.-მ, რომელიც გამყოფ ხაზზე მდებარე სოფელში, მავთულხლართების სიახლოვეს ცხოვრობს. სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ რუსი მესაზღვრეები ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბ.წ. საქართველო-რუსეთის ომის მონაწილეა და რეგულარულად კითხულობენ მის ადგილსამყოფელს. მისი დაკავების ან გატაცების მუდმივი მაღალი რისკის გამო ბ.წ. დათხოვნისა თუ კუთვნილი შვებულების გამო ვერ ახერხებს სახლში დაბრუნებას და ოჯახის წევრების მონახულებას. სავარაუდოა, რომ იგი მანამდე ვერ შეძლებს სახლში დაბრუნებას, სანამ გამყოფ ხაზზე რუსეთის სასაზღვრო თუ სახმელეთო ჯარები იქნება განლაგებული.

ბ.წ.-ს უსაფრთხოების და უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა მიმართა თავდაცვის მინისტრს შეესწავლა ბ.წ.-ს შემთხვევა და იმის გათვალისწინებით, რომ იგი ფაქტობრივად ვერ ბრუნდება თავის საცხოვრებელ სახლში, განეხილა მისი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესაძლებლობა. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბიდან სახალხო დამცველს აცნობეს, რომ საბინაო ფონდში არსებული შეზღუდული რაოდენობის ბინების გამო ბ.წ.-ს დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ადგილობრივები აქაც ძირითადად დაკავებულები არიან სოფლის მეურნეობით და მათი შემოსავლის ძირითადი წყარო თხილია. ამ სოფლებშიც მოსახლეობა მთავარ პრობლემად უმუშევრობის მაღალ დონეს ასახელებს. ავარიულია ფახულანის ამბულატორია და სოფლები გაზიფიცირებული არ არის.

პრობლემად რჩება სოფლის რამდენიმე უბნის (ლეკუკეს უბანი, ქალაღალის უბანი) დამაკავშირებელი ხიდის არარსებობა მდინარე ოლორზე, რომელიც ადიდების დროს ათეულობით ოჯახის ართმევს გადაადგილებას საშუალებას. ასევე, გასამაგრებელია მდინარის ნაპირები, რადგან მისი ადიდებისას წყალს მიაქვს მოსახლეობის სახნავ-სათესი მიწები და მოსავალი. ხიდის და ჯებირების მშენებლობა ხელს შეუწყობდა სოფლის ეკონომიკურ განვითარებას და ხელმისაწვდომს გახდიდა აუთვისებელი მიწების ნაწილს.

2015 წელს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაზიანებული იყო წყალმომარაგების სისტემა. ადგილობრივების განცხადებით, ამის გამო მოსახლეობის ნახევარზე მეტს სუფთა სასმელი წყალი არ მიეწოდებოდა. პრობლემა იყო სოფლის სარწყავი წყლით მომარაგებაც. მისასალმებელია, რომ 2016 წლის აპრილიდან სოფელ ფახულანში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაიწყო სასმელი წყლის მაგისტრალისა და წყალსადენი ქსელების რეაბილიტაცია.

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, 2015 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდმა დაასრულა ფახულანის ცენტრიდან გამყოფ ხაზამდე მიმავალი 4 კმ-იანი გზის მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია, რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ადგილობრივების ყოფას.

ასევე, დადებითი მოვლენაა, რომ ხურჩასგან განსხვავებით ლიბერთი ბანკის მობილური ჯგუფი ფახულანში ყოველი თვის ბოლოს ჩადის და ორი დღის განმავლობაში ემსახურება ადგილობრივებსა და ოკუპირებული ზონიდან გადმოსულ მოქალაქეებს.

სოფელ წყოუშში 9 წლიან სკოლაში 2015-2016 წლებში 126 მოსწავლე სწავლობდა, ფახულანში საშუალო სკოლაში კი 141 მოსწავლე. ტერიტორიული სიახლოვის გამო, ორივე სკოლაში ყოველთვის დადიოდნენ მეზობელი გალის რაიონის სოფლების მოსწავლეები, რომელთაც ყოველდღიურად გამყოფი ხაზის გადმოკვეთა უწევთ. თუმცა, გამყოფ ხაზზე რუსი მესაზღვრეების განლაგების შემდეგ მოსწავლეთა გადაადგილებას მუდმივად პრობლემები ექმნებოდა, რამაც გადმომსვლელ მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოების მოტივით. 2015-2016 სასწავლო წელს გალის რაიონის სოფელ საბერიოდან წყოუშის სკოლაში 11 მოსწავლე (4-9 კლასელი), ხოლო სოფელ ფახულანის სკოლაში 12 მოსწავლე გადაადგილდებოდა (9-11 კლასელები), მაშინ როდესაც 2014 წელს წყოუშის სკოლაში 18, ხოლო 2013 წელს 48 მოსწავლე გადმოდიოდა. სოფელ ფახულანში კი 2013 წელს საბერიოდან 13 მოსწავლე დადიოდა.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით საქართველოს ხელისუფლებას აღებული აქვს ვალდებულება, დაიცვას სათანადო რესურსების არმქონე პირთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, მიმართოს შესაბამისი ძალისხმევა ამ უფლებების პრაქტიკული რეალიზაციისკენ, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფოში სოციალურ თანასწორობას. მოწყვლადი ჯგუფებისათვის სოციალურ-ეკონომიკური დახმარება განხილული უნდა იქნეს, როგორც უფლება და არა როგორც სახელმწიფოს თავისუფალი ნების გამოვლენა ან „ქველმოქმედება“.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შესაბამისი რესურსების უქონლობა სახელმწიფოს არ ათავისუფლებს „ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტით აღიარებული უფლებების, მინიმალური და ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან. პაქტის მიზნებიდან გამომდინარე, საზოგადოების განსაკუთრებით დაუცველი ფენების უზრუნველყოფა სახელმწიფო რესურსების მწვავე ნაკლებობის პირობებშიც კი უნდა მოხდეს.

შესაბამისად, კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებების დასაცავად და გამყოფი ხაზის სოფლების სოციალური ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ

- უზრუნველყოს სოფელ ხურჩაში ამბულატორიის რეაბილიტაცია და აღჭურვა საჭირო ინვენტარით მოწყობა;
- კიდევ ერთხელ შეისწავლოს და მიიღოს გადაწყვეტილება სოფელ ხურჩის მოსახლეობისათვის კონფლიქტებით მიყენებული ზარალის კომპენსაციის საკითხზე, უზრუნველყოს შესწავლის შედეგების შესახებ სოფელ ხურჩის მოსახლეობის სრულად ინფორმირება;
- შეისწავლოს სოფელ ხურჩაში არსებული სიტუაცია და საჭიროებისამებრ, ხელი შეუწყოს ლიბერთი ბანკის მობილური ჯგუფის სოფელში მუშაობას.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ

- გამოყოს შესაბამისი სახსრები სოფელ ფახულანში მდინარე ოლორზე ხიდის რეაბილიტაციისა და მდინარის ნაპირების გასამაგრებლად;
- უზრუნველყოს სოფელ ფახულანში ამბულატორიის აშენება და მოწყობა.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სუფთა სასმელი წყლით. კონკრეტულად კი, ჩატარდეს სასმელი წყლის სისტემების რეგულარული მოვლა-პატრონობა და ეს ღონისძიებები დაევალოთ შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებს; მოხდეს წყლის ეფექტური გაუსნებოვნება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #62 დადგენილების შესაბამისად („ტექნიკური რეგლამენტი: ცენტრალიზებული და ადგილობრივი წყალმომარაგების სასოფლო-სამეურნეო წყლის ქლორით გაუსნებოვნებისა და წყალსადენის ნაგებობების დეზინფექციის წესები“); მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება წყლის ხარისხთან დაკავშირებით.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ

- შეისწავლოს ელექტრო მომარაგების საკითხი სოფელ ხურჩაში და მიიღოს შესაბამისი ზომები მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად და ელექტოენერგიით შეუზღუდავად სარგებლობის მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ

- გააძლიეროს პატრულირება გამყოფი ხაზის სოფლების იმ ტერიტორიაზე, რომელიც ქართული საგუშაგოების მიღმა მდებარეობს (სოფელი ხურჩა, სოფელი წყოუში), განსაკუთრებით კი გამყოფი ხაზის სიახლოვეს, სადაც მოსახლეობა მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ

- შეისწავლოს სოფელ ხურჩაში არსებული სიტუაცია და საჭიროებისამებრ დანიშნოს დამატებით ერთი მანქანა, ხურჩელი უმცროს კლასელებისთვის, რომლებიც სკოლაში სოფელ კოკში დადიან, სწავლის დამთავრების შემდეგ სახლში დაბრუნების მიზნით.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას და მის ინდივიდუალურ წევრებს

- იმსჯელოს და დაავალოს შესაბამის წევრ სტრუქტურებს (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) შეისწავლონ გამყოფი ხაზის სოფლების სპეციფიკა და შეიმუშაონ კონფლიქტით დაზარალებული თემების სპეციფიკურ საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის წახალისების პროგრამები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ასევე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა

- არ დაიშუროს პოლიტიკური, სამართლებრივი და დიპლომატიური ძალისხმევა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის სკოლის მოსწავლეების, უსაფრთხოებისა და გადაადგილების თავისუფლების დასაცავად, რომელიც შეიძლება მოიცავდეს, როგორც მოლაპარაკებების დროს ამ საკითხის დაყენებას და საერთაშორისო თანამეგობრობის სათანადო ინფორმირებას, ისე საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ

- დროულად გამოიძიოს მოქალაქე გ.ო.-ს მკვლელობის საქმე, მათ შორის აფხაზურ მხარესთან თანამშრომლობით. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას არა პოლიტიკურ არამედ სამართლებრივ ჭრილში და მიღებული იქნას ყველა საჭირო ზომა დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემის მიზნით.